ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31221438**
თარიღი: **23/05/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 5

ქ. ლანჩხუთი

19.05.2022 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე.**

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: **ეკატერინე გუჯაბიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი: **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: **გიორგი ნაჭყებია,** სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: **ეკა წილოსანი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი: **ზაალ სანაძე,** შპს „ლანჩხუთი“-ს დირექტორი **ლევან იმნაძე.** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“

დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 01 აპრილიდან, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით არსებული მიმდინარე პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში არსებული მდგომარეობის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

6. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს: ა) სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა; ბ) აგროტურისტული პოტენციალის განვითარება; გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა; დ) დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია: ა) კანონიერება; ბ) თანასწორობა; გ) საჯაროობა; დ) მიუკერძოებლობა; ე) კოლეგიურობა; ვ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისგანაც მუნიციპალიტეტს გააჩნია გრანტის მიღების უფლება, რომელიც არაფინანსურად მხარს უჭერს პროგრამის განხორციელებას. მისი თქმით, სამდივნოს შემადგენლობაში სავალდებულოდ და თანამდებობრივად შედიან: ა) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელი; ბ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წარმომადგენელი; გ) საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე; დ) მერის მოადგილე; ე) მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახური; ვ) მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი; ზ) მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენელი; თ) ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელი; ი) მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი. მერი უზრუნველყოფს სამდივნოში, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და დასაქმების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო/ადგილობრივი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების და თემატური ექსპერტების მონაწილეობას, მათი მიმართვის საფუძველზე. სამდივნოს საქმიანობას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს მერის მოადგილე. სამდივნოს საქმიანობის წესი, შემადგენლობა და სამდივნოს წევრთა შემადგენლობის ცვლილება მტკიცდება მერის ბრძანებით, პროგრამის ბენეფიციარების, სამიზნე მუნიციპალიტეტ(ებ)ისა და შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის ცვლილების შესაბამისად. შოთა ჩაგუნავამ ასევე ისაუბრა დაფინანსების წყაროზე და აღნიშნა, რომ დაფინანსების წყაროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (02 11 პროგრამული კოდით) და პარტნიორი ორგანიზაციიდან მოზიდული სახსრები, რომელიც უნდა შეადგენდეს პროგრამის საერთო ბიუჯეტის არანაკლებ 50%-ს. პროგრამის დაფინანსების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციებისგან მოზიდული ნებისმიერი ფულადი მხარდაჭერა აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. მერი უფლებამოსილია პროგრამის განხორციელების წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს ან მოამზადოს საბიუჯეტო ცვლილების პროექტი მიმდინარე წლის ბიუჯეტში, სადაც გათვალისწინებული იქნება ხარჯები, პროგრამის საინფორმაციო კამპანიის და პროგრამის საგანმანათლებლო აქტივობების დასაფინანსებლად. მისი განმარტებით, პროგრამის გამარჯვებული პროექტის ავტორსა და მუნიციპალიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი და დაფინანსების მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 15 000 ლარს. კომისიის გადაწყვეტილებით ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა შეიძლება დაფინანსდეს სრულად ან ნაწილობრივ. ბიზნეს გეგმის ნაწილობრივ დაფინანსების გადაწყვეტილება კომისიის მიერ საჭიროებს წერილობით დასაბუთებას. პროექტის დაფინანსებისთვის გადაცემული თანხის სრული ათვისება უნდა მოხდეს პროგრამის მიმდინარეობის წლის ბოლომდე. აუთვისებელი თანხა რჩება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვისთვის ბენეფიციარისთვის თანხის ჩარიცხვა ხდება ეტაპობრივად, ხარჯის გაწევის წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტის (ინვოისი) მიხედვით.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიშის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 01 აპრილის მდგომარეობით მობილიზებულია შემოსავლები 4090500 ლარი, აქედან გადასახადები 2298400 ლარი, გრანტები 1102500 ლარი, სხვა შემოსავლები 689500 ლარი, შესაბამის პერიოდისათვის გაწეული 3725400 ლარის ხარჯი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1524300 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 146270 ლარი. როლანდ ლაშხიამ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ 2022 წლის 1 კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 1447,8 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1985 ათ ლარი) 72,9 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -292,6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 657,5ათ ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-44,2 ათ ლარი 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 20,9 ათ ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 5312,3ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2282,8 ათას ლარს ,

საიდანაც 1935,0 ათასი ლარი მიიმართა 2022 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2022 წლის ბიუჯეტში 2615,6 ათასი ლარი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის აპრილის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1055896,92 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1055896,92 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 931718,486 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 30,94 %-ს; დღგ-მ შეადგინა 785036,79 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 32,66 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 1569,31 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 1556,31 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 13584,51 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 227040,506 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 2371,37 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 2033,38 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 621,81 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 181970,766 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის აპრილის თვეში შემოსულობებმა 1987615,406 ლარი შეადგინა, ხოლო განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 7528524 ლარი. აპრილის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 2046275 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 701088 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 1998052 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 311775 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 2442979 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების მაჩვენებელი დადგენილი ნორმის შესაბამისობაშია.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 01 აპრილიდან, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით არსებული მიმდინარე საკითხების შესახებ ფრაქციის წევრებმა ისაუბრეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან ეკატერინე გუჯაბიძესა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ეკა წილოსანთან ერთად.

ფრაქციის თავმჯდომარე, კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, სულ რამდენი ადამიანი დასაქმდა ამ პროგრამის ფარგლებში, რაზედაც ეკატერინე გუჯაბიძემ გააკეთა განმარტება, რომ ჯამში არის 606 ვაკანსია და ხელშეკრულება არის გაფორმებული 512 ადამიანთან.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, მოხდა თუ არა უკვე მათი ფინანსური უზრუნველყოფა, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ განმარტა, რომ მათ თანხა ჩაერიცხებათ მიმდინარე თვის 20 რიცხვში სოციალურ დახმარებასთან ერთად და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები მას აწვდის ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ თვის განმავლობაში რამდენი დღე შეასრულა სამუშაო თითოეულმა მათგანმა და იმის მიხედვით ხდება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, რა კრიტერიუმით მოხდა ბენეფიციართა შერჩევა, კონკრეტულ სამუშაოზე დასაქმებისას, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ უპასუხა, რომ უნდა იყოს ან სოციალური დახმარების მიმღები, ან უნდა იყოს მიზნობრივი დახმარების მიმღები 120000- მდე ქულით.

კახაბერ ასკურავამ ასევე დასვა შეკითხვა, თუ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ვაკანსიაზე გააკეთა განაცხადი ორი ერთნაირი ქულის მქონე პიროვნებამ და ამ შემთხვევაში რა პრინციპით ხდება თანამშრომელთა შერჩევა. ეკატერინე გუჯაბიძემ

აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში სარგებლობს რიგითობის პრინციპით.

ეკა წილოსანმა აღნიშნა, რომ იმ პირებს, რომელთაც ჰქონდათ განაცხადი შემოტანილი და ამ ეტაპისთვის არ მოხდა მათი დასაქმება, შექმნილია მომლოდინეთა რეესტრი და ახალი ვაკანსიის შემთხვევაში პირველად მოხდება მათი დასაქმება.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, რამდენი სოციალურად შეჭირვებულია სულ მუნიციპალიტეტში, რაზეც ეკა წილოსანმა გააკეთა განმარტება, რომ სულ არის 5600 ადამიანი ფიქსირებული, რაც 1500 ოჯახია. ეკა წილოსანმა ასევე აღნიშნა, რომ პენსიონერები არ ერთვებიან დასაქმების პროგრამაში.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სასაფლაოს მოვლა-პატრონობა არის მუნიციპალიტეტის ვალდებულება, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ განმარტა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე სასაფლაოებს პატრონობს მუნიციპალიტეტი და მხოლოდ სოფლის სასაფლაოებზე მოხდა სოციალურად შეჭირვებულთა დასაქმება.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ფრაქციის წევრებმა ვრცლად ისაუბრეს მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ფრაქციის თავმჯდომარე, კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, თუ რატომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ „საფეხბურთო კლუბი გურია“ გადაკეთებულიყო შპს-დ, რაზეც იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ უპასუხა, რომ ეს მოხდა ინვესტიციის მოზიდვის მიზნით, რადგანაც ბევრად უფრო მიმზიდველი იყო კომერციული თვალსაზრისით. მან ასევე აღნიშნა, რომ შპს-დ კლუბი გადაკეთდა 2020 წლის სექტემბრის თვეში.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, კლუბის ხელმძღვანელობა შემოვიდა თხოვნით, რომ საფეხბურთო კლუბი გურია გადაკეთებულიყო შპს-დ თუ მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილება იყო ზემოაღნიშნული, რაზეც შოთა ჩაგუნავამ გააკეთა განმარტება, რომ ეს იყო ინვესტორების პოზიცია.

ფრაქციის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, თუ ვინ ამოწმებს კლუბის ტრანზაქციებს, რაზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ ყველაფერს ამოწმებს ფეხბურთის განვითარების ფონდი. მან ასევე აღნიშნა, რომ არის ვალდებულება იმის შესახებ, რომ ყოველი თვის ბოლოს უნდა გაკეთდეს ანგარიში, რომელსაც თანდართული ექნება აუდიტის დასკვნა.

გიორგი გოგუაძემ ისაუბრა იმის შესახებ, რომ 2016 წელს, როცა შეიქმნა ფეხბურთის განვითარების ფონდი, კატეგორიულად იყო მინიშნება, რომ რასაც ერქმეოდა „ბურთი“, მოსცილებოდა მუნიციპალიტეტს და წასულიყო ფეხბურთის განვითარების ფონდში, რაც 5 წლიანი ვადით, 2021 წლის ჩათვლით მუნიციპალიტეტს აარიდებდა თანხის დახარჯვას, რაც ასე არ მოხდა და ბიუჯეტიდან მაინც ხდებოდა თანხის გაცემა. 5 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტს ფეხბურთთან დაკავშირებით მხოლოდ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებაზე შეეძლო თანხის დახარჯვა, დანარჩენი ვალდებულებები ეკისრებოდა ფეხბურთის განვითარების ფონდს. მან აღნიშნა, რომ ფრაქცია წინააღმდეგი არ არის საფეხბურთო კლუბ გურიას დახმარების, მაგრამ აინტერესებს ვის ერიცხება აღნიშნული თანხა 200000 ლარის ოდენობით. შოთა ჩაგუნავამ გააკეთა განმარტება, რომ კლუბი არის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული და შესაბამისად არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და თანხა, რომელიც გამოყოფილი იქნება ბიუჯეტიდან, ირიცხება შპს ფეხბურთის კლუბ ლანჩხუთის გურიას ანგარიშზე კონკრეტული მიზნობრიობით. მან

აღნიშნა, რომ უნდა ჩატარდეს აუქციონი კონკრეტული პირობებით და აუქციონში გამარჯვებულს გუნდი მიჰყავს საკუთრებაში.

გიორგი გოგუაძის თქმით, 2008 წელს ლანჩხუთის გურია 60000 ლარად რეგიონული ლიგიდან გადავიდა პირველ ლიგაში. ნელ-ნელა მოწესრიგდა ორგანიზაცია და 2012 წლის ჩათვლით 1250000 ლარი დაიხარჯა და რეგიონული ლიგიდან გუნდი უკვე უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ბრძანებით 6500000 ლარი გამოიყო სტადიონის მშენებლობისთვის. გაკეთდა სარწყავი სისტემა, 2500 სკამი დამონტაჟდა სტადიონზე. უნდა გაკეთებულიყო სტადიონი, რომელიც საკვალიფიკაციო თამაშების გამართვის უფლებას იძლეოდა. კიდევ იყო გარკვეული გეგმა შემუშავებული, მაგრამ მოხდა ხელისუფლების შეცვლა და შეჩერდა ყველაფერი. მისი დაანგარიშებით 2012 წლიდან 2021 წლის ჩათვლით 8175000 ლარია დახარჯული და გურია უმაღლესიდან რეგიონულ ლიგაში ჩამოქვეითდა.

გიორგი გოგუაძემ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში 350 ფეხბურთელი და 12 მწვრთნელი იყო დასაქმებული, ასევე თხუთმეტმა უცხოელმა ფეხბურთელმა ისე მიიღო 5000-5000 ლარი, რომ მაისური საერთოდ არ ჩაუცვამს და მინდორზე არც კი გასულა. მისი თქმით, ფეხბურთის სკოლა 2009 წელს გაკეთდა იმიტომ, რომ ეტაპობრივად აჰყოლოდა იმ მოთხოვნებს, რაც ფედერაციას ჰქონდა. მაშინ იყო 7 თანამშრომელი და 70 ბავშვი, ახლა პირიქითაა. მისი თქმით, 3000000 ლარია დახარჯული ბავშვთა ფეხბურთში 10 წლის განმავლობაში და იქ აღზრდილი არც ერთი ფეხბურთელი არ თამაშობს ლანჩხუთის გურიაში.

გიორგი გოგუაძემ წამოაყენა წინადადება, რომ საფეხბურთო კლუბი გურია, რომლის დაფინანსება 250000 ლარია, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, რომელიც ფინანსდება 300000 ლარით, სტადიონი - 200000 ლარით და ჩიბათის საფეხბურთო კლუბი, რომელიც 50000 ლარით ფინანსდება, გაერთიანდეს ერთი გუნდის ქვეშ და ერთმა ლანჩხუთელმა უხელმძღვანელოს.

ირმა მგელაძემ დასვა შეკითხვა: მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის, ზაზა ურუშაძის დატოვებული ვალები რატომ არ გადაახდევინეს მას, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ უპასუხა, რომ ვალის დაფარვა არის ვალდებულება. კახაბერ ასკურავას აზრით, ურუშაძე არის თაღლითი. მან დიდი ფული იშოვა გურიის ხარჯზე და სირცხვილია, რომ ის ციხეში არ ზის.

კახაბერ ასკურავამ წამოაყენა წინადადება, რომ ფრაქცია კიდევ ერთხელ შეიკრიბოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ფრაქციის წევრებმაც დაუჭირეს მხარი.

კახაბერ ასკურავამ ასევე დასვა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ გრიგოლეთში შემოდის კონკრეტული ფირმა, რომელიც აპირებს სასტუმროების მშენებლობას. მისი აზრით, ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაელაპარაკოს ფირმას, რათა დაიდოს გარიგება, რომ კონკრეტული ფართის სანაცვლოდ, მათ უპატრონონ ლანჩხუთის გურიას. მისი თქმით, 2024 წელს 100 წელი უსრულდება ლანჩხუთის გურიას და სირცხვილია, რომ ამ დღეში იყოს საფეხბურთო კლუბი. კახაბერ ასკურავამ ასევე აღნიშნა, საფეხბურთო სკოლა გაზრდის მოსწავლეს, გაუშვებს ჩიბათის საფეხბურთო კლუბში, იქ კიდევ უფრო განვითარდება და გაუშვებს ლანჩხუთის გურიაში. მისი აზრით, უნდა შეიქმნას გარკვეული წრედი, რათა მოხდეს გუნდის გაძლიერება.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, სულ რამდენი თანამშრომელია ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში, რაზეც ზაალ სანაძემ უპასუხა, რომ სულ არის 41 თანამშრომელი. აქედან 7 თანამშრომელი არის შტატში და 34 არის ხელშეკრულებით აყვანილი. სულ ჰყავთ 200 მოსწავლე, რომელთაც ავარჯიშებს 20 მწვრთნელი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2013 წლიდან ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში

პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა.

სხვადასხვა საკითხები.

გივი ცინცაძემ დასვა შეკითხვა, რეორგანიზაცია თუ არის დასრულებული რომელიმე დაწესებულებაში და ბოლო ვადა როდისაა, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია დასრულდება მაისის ბოლოს და ა(ა)იპ-ებში ხელფასების მოწესრიგება მოხდება რეორგანიზაციის დასრულებასთან ერთად.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, რატომ მოხდა კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელად მერაბ ქარჩავას დანიშვნა, რაზეც ეკატერინე გუჯაბიძემ უპასუხა, რომ მერაბ ქარჩავა ადრე იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას და მისი დანიშვნა მოხდა მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.05.2022 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ ასკურავა	13:00	
2	გიორგი გოგუაძე	14:54	
3	ირმა მგელაძე		14:57
4	გივი ცინცაძე	14:58	